დანართი №1.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“
წესდება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები და სამართლებრივი სტატუსი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი („ა(ა)იპ“) „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ არის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი წევრთა მდგომარეობისგან დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომში - „ბაგა-ბაღების გაერთიანება“), რომლის დამფუძნებელია სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდი:246762061, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა მ. კოსტავას ქ. №3), ხოლო დამფუძნებლის უფლებამოსილებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - მერი.

2. „ბაგა-ბაღების გაერთიანება“ არის მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო კონტროლით, სკოლამდელი აღზრდა-განათლების კონცეფციის, საგანმანათლებლო პროგრამის და ამ წესდების შესაბამისად ახორციელებს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობას.

3. ბაგა-ბაღების გაერთიანება მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

4. ეს წესდება წარმოადგენს ორგანიზაციის სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს.

5. ბაგა-ბაღების გაერთიანება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

6. ბაგა-ბაღების გაერთიანება წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

7. ბაგა-ბაღების გაერთიანება თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ბაგა-ბაღების გაერთიანების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.

8. ბაგა-ბაღების გაერთიანების მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა. ბაგა-ბაღების გაერთიანება უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ბაგა-ბაღების გაერთიანების დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. ბაგა-ბაღების გაერთიანება უფლებამოსილია მისი საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინოს/მიიღოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, შემოწირულობები.

9. ბაგა-ბაღების გაერთიანების საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

11. ბაგა-ბაღების გაერთიანებას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.

12. ბაგა-ბაღების გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ასევე, აქვს ანგარიშსწორების ანგარიში საბანკო დაწესებულებებში, ელექტრონული შტამპი, ბეჭედი, ბლანკი და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

13. ბაგა-ბაღების გაერთიანების მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით საქმიანი წერილისა და ვებგვერდისთვის დადგენილი წესები.

თავი II. ბაგა-ბაღების გაერთიანების მიზანები, ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 2. ბაგა-ბაღების გაერთიანების მიზანი, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საერთო ღირებულებებისადმი პატივისცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანება ოჯახთან ურთიერთკავშირში ზრუნავს ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე, ვალდებულია დაიცვას ბავშვი ნებისმიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედებისაგან, დაიცვას მისი უფლებები, ხელი შეუწყოს ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარებას.

3. ბაგა-ბაღების გაერთიანება ბავშვებს უქმნის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობებს.

4. ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

5. ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში ჯგუფების დაკომპლექტება ხდება ასაკობრივი ნიშნის მიხედვით.

თავი III. ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მისი მუშაობის ორგანიზება

1. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება შედგება ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულებისაგან (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისგან).

2. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, ხოლო ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა შესაძლებელია ამ წესდებაში შესაბამისი ცვლილების ან/და დამატების შეტანის გზით.

3. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია:

ა) დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღი;

ბ) დაბა ქედის №2 ბაგა-ბაღი;

გ) მერისის ბაგა-ბაღი;

დ) ხარაულის ბაგა-ბაღი;

ე) ცხმორისის ბაგა-ბაღი;

ვ) წონიარისის ბაგა-ბაღი;

ზ) მახუნცეთის ბაგა-ბაღი;

თ) ზუნდაგის ბაგა-ბაღი;

ი) პირველი მაისის ბაგა-ბაღი;

კ) ახოს ბაგა-ბაღი;

ლ) ნამლისევის ბაგა-ბაღი;

მ) დოლოგანის ბაგა-ბაღი;

ნ) ვაიოს ბაგა-ბაღი;

ო) დანდალოს ბაგა-ბაღი;

პ) ოქტომბრის ბაგა-ბაღი.

4. ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს დირექტორი (შემდგომ ტექსტში - დირექტორი), რომლის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას ამ წესდების შესაბამისად, როგორც დამფუძნებელი, იღებს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - მერი.

5. ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეული შედგება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებისაგან.

6. სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას წარმართავს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ხოლო მის არყოფნის შემთხვევაში, თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის) გამო ან სხვა საფუძვლის არსებობისას ხელმძღვანელისათვის შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერებისა, მის მოვალეობას ასრულებს სტრუქტურული ერთეულის ერთ-ერთი მოსამსახურე ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის დავალებით.

7. ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი.

მუხლი 4. ბაგა-ბაღების გაერთიანების მართვა

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოა - დირექტორი.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო ახორციელებს საქმიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს მხოლოდ კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 5. ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. ბაგა-ბაღების გაერთიანებას ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც გააჩნია ბაგა-ბაღების გაერთიანების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მოქმედებს მისი სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის და გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას ამ წესდების შესაბამისად, როგორც დამფუძნებელი, იღებს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - მერი (ბრძანების სახით).

3. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი.

4. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის) გამო ან სხვა საფუძვლის არსებობისას დირექტორისათვის შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერებისა ან/და შეწყვეტის შემთხვევაში, ამ პერიოდში, დირექტორის მოვალეობას ასრულებს ამავე გაერთიანების დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე, რომლის დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ გადაწვეტილებას ღებულობს დამფუძნებელი ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

5. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ბაგა-ბაღების გაერთიანების სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. დირექტორი თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.

6. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ბაგა-ბაღების გაერთიანების სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

მუხლი 6. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი

1. უფლებამოსილების ფარგლებში დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ბაგა-ბაღების გაერთიანების საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ბაგა-ბაღების გაერთიანებას ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, ბაგა-ბაღების გაერთიანების სახელით დებს გარიგებებს;

გ) მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად განაგებს ბაგა-ბაღების გაერთიანების ქონებას და საფინანსო სახსრებს, პასუხისმგებელია მათ კანონიერ გამოყენებაზე;

დ) თავის უფლებამოსილების განხორციელებისას გამოსცემს სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ბაგა-ბაღების გაერთიანების ყველა თანამშრომლისათვის, ხელს აწერს ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს;

ე) ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობიდან გამომდინარე ერთპიროვნულად ღებულობს გადაწყვეტილებებს, პასუხისმგებელია გაერთიანების საქმიანობის სწორად წარმართვაზე, გაერთიანების ქონების მათ შორის ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

ვ) უფლებამოსილია დასახული მიზნის მისაღწევად დაამყაროს შრომით სამართლებრივი ურთიერთობები ბაგა-ბაღების გაერთიანების საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად;

ზ) საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული ან/და განუსაზღვრელი ვადით შრომითი ხელშეკრულებით თანამდებობაზე ნიშნავს (დებს ხელშეკრულებებს) და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბაგა-ბაღების გაერთიანების მოსამსახურეებს, უზრუნველყოფს კადრების სწორად შერჩევას და კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ურთიერთობების რეგულირებას;

თ) ანაწილებს ფუნქციებს ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლების საქმიანობაზე, მართავს თათბირებს, პერიოდულად ისმენს ანგარიშებს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების თაობაზე;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები;

კ) უზრუნველყოფს ბაგა-ბაღების გაერთიანების ბიუჯეტის შედგენას და შესათანხმებლად წარუდგენს ქედის მუნიციპალიტეტის მერს;

ლ) ამტკიცებს ბაგა-ბაღების გაერთიანების სახელმწიფო შესყიდვების გეგმას;

მ) მუშაობის ძირითადი მიმართულების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურას, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს;

ნ) ამ წესდების მე-11 მუხლის საფუძველზე განსაზღვრავს (ბრძანებით) ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში, აღსაზრდელთა კონტიგენტისა და აღსაზრდელი ბავშვის ასაკის მიხედვით სააღმზრდელო ჯგუფების რაოდენობას, მათ შექმნას/დაკომპლექტებას, ასევე სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობას;

ო) იღებს გადაწყვეტილებას ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში აღსაზრდელთა მიღების (ჩარიცხვის) შესახებ;

პ) ბაგა-ბაღების გაერთიანების ურთიერთობები აღსაზრდელთან და მათ მშობელთან (კანონიერი წარმომადგენლთან) რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ბაგა-ბაღების გაერთიანების სახელით ხელს აწერს ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი;

ჟ) ამტკიცებს ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს და გამოსცემს ბრძანებას მათი ანაზღაურებად ან/და უფასო შვებულებით სარგებლობის ან/და სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ;

რ) ატარებს სათანადო ღონისძიებებს ბაგა-ბაღების გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, თანამშრომელთათვის აუცილებელი შრომითი პირობების შექმნის მიზნით;

ს) ქედის მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად წარუდგენს ბაგა-ბაღების გაერთიანების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს, წინადადებებს ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ;

ტ) ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით უფლებამოსილია ბრძანებით შექმნას სამუშაო ჯგუფები, კომისიები;

უ) შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესსა და სამუშაო აღწერილობებს;

ფ) დამფუძნებლის თანხმობით უფლებამოსილია ბაგა-ბაღების გაერთიანების სახელით გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები;

ქ) უფლებამოსილია დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები (შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ღ) ბაგა-ბაღების გაერთიანების საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობებზე თანამშრომელთა აყვანა ხორციელდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე;

ყ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა აღმზრდელებთან (პედაგოგებთან) მედპერსონალთან და ბავშვის მშობლებთან უშუალო კავშირში;

შ) პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტის მერს ბაგა-ბაღში არსებული მდგომარეობის თაობაზე;

ჩ) ბაგა-ბაღების გაერთიანების სახსრების ეფექტურად განკარგვის მიზნით მჭიდროდ ითანამშრომლოს ქედის მუნიციპალიტეტის ორგანოებთან;

ც) დაიცვას საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებები;

ძ) შექმნას ბავშვებისათვის შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები;

წ) უზრუნველყოს ხარისხიანი კვება და შესაბამისი რეჟიმის დაცვა;

ჭ) მშობლის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას ბაგა-ბაღების გაერთიანების წესდება და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჯაროა;

ხ) დირექტორი ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველკვარტლური და წლიური ანგარიში ყოველი წლის და კვარტლის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე;

ჯ) დირექტორი ასევე ვალდებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

ჰ) ანგარიშვალდებულია ქედის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

2. ასრულებს კანონმდებლობით და ამ წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. დირექტორი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. მაგრამ იგი ვალდებულია ორგანიზაციის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორი ორგანიზაციის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

4. დირექტორს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ასეთ შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია დაიცვას მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.

მუხლი 7. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე (მოადგილეები)

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე (მოადგილეები) დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფუნქციების განაწილების შესაბამისად, ხელმძღვანელობს ორგანიზაციის უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებულ დარგს (დარგებს), უზრუნველყოფს და აკონტროლებს დირექტორის სამართლებრივი აქტების აღსრულებასა და მისი დავალებების შესრულებას.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე (მოადგილეები) ორგანიზებას უწევენ ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას. უფლება აქვთ დავალებები და მითითებები მისცეს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და სხვა მოსამსახურეებს.

3. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე (მოადგილეები) ანგარიშვალდებულია ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის წინაშე.

4. ასრულებს დირექტორის დავალებებს, კანონმდებლობით და წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8. ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობა

1. სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი.

2. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) უზრუნველყოფს სტრუქტურულ ერთეულში საგანმანათლებლო-სააღმზრდელო საქმიანობას:

ბ) ქმნის ბავშვებისათვის შესაბამის საყოფაცხოვრებო პირობებს;

გ) უზრუნველყოს ხარისხიან კვებას და შესაბამისი რეჟიმის დაცვას;

დ) აკონტროლებს სტრუქტურულ ერთეულში მოსამსახურეების მიერ შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვას და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში აწვდის ინფორმაციას ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორს;

ე) აწვდის ინფორმაციას ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის სტრუქტურულ ერთეულში საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის შესახებ.

ვ) ახორციელებს წინამდებარე წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

თავი IV. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაცია

მუხლი 9. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი

1. ბაგა-ბაღების გაერთიანება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს წარმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის სახელმწიფო სტანდარტების, სტრატეგიების და განათლების სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, როგორც განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით, ასევე გაერთიანების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამებით.

2. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი პროგრამის შესრულებას. დასაშვებია ალტერნატიული, ვარიანტული პროგრამებითა და შესაბამისი ტექნოლოგიებით სარგებლობა ქედის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

3. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაციის ფორმები განისაზღვრება შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი.

4. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი მონაწილეები არიან:

ა) აღსაზრდელები (ბავშვები);

ბ) საგანმანათლებლო პერსონალი;

გ) მშობლები (კანონიერი წარმომადგენლები).

5. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და ბავშვს შორის ურთიერთდამოკიდებულება აიგება თანამშრომლობის, ბავშვის პიროვნებისადმი პატივისცემისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მისთვის თავისუფალი განვითარების პირობების შექმნის საფუძველზე.

6. ბაგა-ბაღების გაერთიანების შინაგანაწესით და საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა მიღებისა და მათი მოძრაობის პირობები, დღის რეჟიმი, კვების ჯერადობა და დამატებითი მომსახურეობისათვის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი.

7. საგანმანათლებლო პერსონალს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს ბაგა-ბაღის საქმიანობაში;

ბ) აიმაღლოს კვალიფიკაცია;

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;

დ) მიიღოს გაწეული სამუშაოსათვის შესაბამისი შრომითი ანაზღაურება.

8. საგანმანათლებლო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებით, სამუშაო აღწერილობით და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა;

გ) იზრუნოს ბავშვის მრავალმხრივ და ჰარმონიულ განვითარებაზე, ბავშვის შესაძლებლობების საჭიროებების გამოვლენაზე და საგანმანათლებლო პროცესში მშობელთა და თემთა ჩართულობაზე;

დ) უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის პროცესში „ადრეულ ასაკში სწავლებისა და განვითარების სტანდარტების“ გათვალისწინება;

ე) უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულის (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) ხელმძღვანელის ინფორმირება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის შესახებ;

ვ) დაიცვას საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებები.

9. მშობელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ინფორმაცია საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მსვლელობის შესახებ და/ან მიიღოს მონაწილეობა მასში;

ბ) ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ინფორმაცია ბაგა-ბაღების გაერთიანებაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით;

გ) მოითხოვოს წესდების და ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საჯარო დოკუმენტების ასლები;

დ) მოითხოვოს მომზადდეს ბავშვი სკოლისათვის, ასევე საფუძველი ჩაეყაროს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას;

ე) მოითხოვოს ბავშვთა უფლებების დაცვა.

10. მშობელი ვალდებულია:

ა) პატივი სცეს ბაგა-ბაღების გაერთიანების კოლექტივის შრომას და ითანამშრომლოს მასთან აღსაზრდელის ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 10. დაწესებულებაში აღსაზრდელის მიღების ზოგადი პირობები

1. ბაგა-ბაღში მიიღებიან აღსაზრდელები, რომელთა ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესაბამება დაწესებულებაში აღზრდა-განვითარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

2. ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი.

3. აღსაზრდელის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში (ბაგა-ბაღში) მიღებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აუცილებელია შემდეგი საბუთების წარდგენა:

ა) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ჯანმრთელობის ცნობა;

გ) ბავშვის 2 ფოტოსურათი 3x4;

დ) მშობლ(ებ)ის პირადობის მოწმობის ასლი;

ე) მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში მხარდამჭერის პირადობისა და შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების (ბაგა-ბაღის) მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია;

ზ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვის შემთხვევებში შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა/რეკომენდაცია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან/და შემდგომი ასაკობრივი განვითარებისთვის 6 წელზე ზევით სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მომსახურებით სარგებლობის საჭიროების შესახებ.

4. ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა მიღება (ჩარიცხვა) წარმოებს ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე.

5. ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა მიღების შემთხვევაში დაწესებულებასა და აღსაზრდელის მშობელს (კანონიერი წარმომადგენლის) შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას.

6. დაწესებულებაში ბავშვის მიღებაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და წერილობით უნდა ჩაბარდეს აღსაზრდელის მშობელს (კანონიერი წარმომადგენლს).

მუხლი 11. ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება) სააღმზრდელო ჯგუფების შექმნის/დაკომპლექტების, სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი პირობები და ორგანიზება

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში (ბაგა-ბაღში) შეიძლება შეიქმნას/დაკომპლექტდეს შემდეგი სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფები აღსაზრდელი ბავშვის ასაკის მიხედვით:

ა) ბაგის უფროსი ჯგუფი - 2-3 წელი;

ბ) ბაღის უმცროსი ჯგუფი – 2-4 წელი;

გ) ბაღის უმცროსი ჯგუფი – 3-4 წელი;

დ) ბაღის საშუალო ჯგუფი - 4-5 წელი;

ე) ბაღის უფროსი ჯგუფი - 4-6 წელი;

ვ) ბაღის უფროსი ჯგუფი - 5-6 წელი;

ზ) ბაღის შერეული ჯგუფი - 2-6 წელი.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში (ბაგა-ბაღში) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია არა უმეტეს:

ა) ბაგის უფროსი ჯგუფი - 25 აღსაზრდელი;

ბ) ბაღის თითოეული უმცროსი ჯგუფი – 30 აღსაზრდელი;

გ) ბაღის საშუალო ჯგუფი - 30 აღსაზრდელი;

დ) ბაღის თითოეული უფროსი ჯგუფი - 30 აღსაზრდელი

ე) ბაღის შერეული ჯგუფი - 30 აღსაზრდელით.

3. ორ წლამდე ასაკის აღსაზრდელის მიღება შეიძლება მშობელთა განცხადების და დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინებით. ქედის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

4. მცირე კონტინგენტის გათვალისწინებით დასაშვებია შერეული ჯგუფების გახსნა.

5. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე (დროებით) ქედის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით დასაშვებია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოქმედ სააღმზრდელო ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა გაიზრდა, შესაბამისი პირობების უზრუნველყოფით.

6. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით ბაგა-ბაღების გაერთიანების თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება - ბაგა-ბაღში) აღსაზრდელთა კონტიგენტისა და აღსაზრდელი ბავშვის ასაკის მიხედვით სააღმზრდელო ჯგუფების რაოდენობას, მათ შექმნას/დაკომპლექტებას და სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალურ რაოდენობას (შენიშვნა: ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეული ბაგა-ბაღების შენობის შიდა ფართობი) ინდივიდუალურად განსაზღვრავს (ბრძანებით) ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი.

7. დაწესებულება ბავშვის მრავალმხრივი განვითარების მიზნით (ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, შემეცნებითი, ესთეტიკური) ქმნის მუშაობის სპეციალურად ორგანიზებულ ფორმებს (მეცადინეობა) და პირობებს ბავშვის არარეგლამინტირებული მოქმედებისათვის (თამაში, კონსტრუქტირება, ხატვა და ა.შ.).

8. სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება შინაგანაწესით;

9. ბაგა-ბაღში განსაზღვრული დროით ყოფნისას, დაწესებულება ახორციელებს ბავშვის მოვლას, მეთვალყურეობას, იცავს მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას. უზრუნველყოფს შინაგანაწესით დადგენილი სარეჟიმო მომენტების შესრულებას, სანიტარულ-ჰიგიენური და გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარებას, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად კვების ორგანიზაციას და ა.შ.;

10. დაწესებულება მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავს როგორც ძირითად, ასევე სტანდარტზევით მომსახურეობის სახეებს ბავშვებისათვის, რაც ფორმდება ხელშეკრულებით, კანონმდებლობის ფარგლებში.

თავი V. საკონსულტაციო საბჭო

მუხლი 12. საკონსულტაციო საბჭო

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების საკონსულტაციო საბჭო (შემდგომ – საკონსულტაციო საბჭო) არის ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ

ერთეულებთან არსებული საბჭო, რომელიც ამ სტრუქტურული ერთეულის ეფექტიან ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

მუხლი 13. ბაგა-ბაღების გაერთიანება უზრუნველყოფს

ბაგა-ბაღების გაერთიანება უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა. ასევე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას.

მუხლი 14. საკონსულტაციო საბჭოს შექმნა

ბაგა-ბაღების გაერთიანება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ქმნის ბაგა-ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებულ 15 სტრუქტურულ ერთეულში საკონსულტაციო საბჭოს.

მუხლი 15. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილება

1. საკონსულტაციო საბჭო შედგება 7 წევრით:

ა) 5 წევრი-მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ბ) 2 წევრი აღმზრდელი (პედაგოგი).

2. საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობისათვის შესაძლებელია მოწვეული იქნას ექსპერტი/სპეციალისტი.

3. საჯარო დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებს ხმის უფლების გარეშე დაესწროს.

4. საკონსულტაციო საბჭოს ირჩევს მშობელთა საერთო კრება 1 წლის ვადით, ამ ვადის ერთხელ განახლების უფლებით.

5. საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების წესდებით.

6. საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევენ საკონსულტაციო საბჭოს წევრები ხმათა უმრავლესობით, 1 წლის ვადით, ამ ვადის ერთხელ განახლების უფლებით. საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებს.

7. საკონსულტაციო საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 4-ჯერ. საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს სულ მცირე 4 წევრის მონაწილეობით, ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

8. საკონსულტაციო საბჭო:

ა) განიხილავს მომსახურებას, სასწავლო გეგმის წლიურ განრიგს და სასწავლო მასალების ჩამონათვალს და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს;

ბ) განიხილავს სტრუქტურული ერთეულის ფინანსურ ხარჯებს და ქონების აქტივების მართვის საკითხებს და სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციას შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს;

გ) წესდების შესაბამისად განიხილავს ბავშვთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრებს და სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციას აძლევს რეკომენდაციებს პრობლემების აღმოსაფხვრელად.

დ) ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ყოველკვარტალურად წარუდგენს რეკომენდაციებს.

თავი VI. დაფინანსება, სახელმწიფო კონტროლი და საფინანსო ეკონომიკური საქმიანობა

მუხლი 16. ბაგა-ბაღების გაერთიანების ქონება და ფინანსები

1. ბაგა-ბაღების გაერთიანება დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის მიერ მისთვის კანონით დადგენილი წესით გადაცემული ქონების ბაზაზე, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების საკუთრებას წარმოადგენს მისი საქმიანობის შედეგად შექმნილი ქონება, ასევე, მისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება და ფულადი სახსრები.

3. ბაგა-ბაღების გაერთიანების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში.

4. ბაგა-ბაღების გაერთიანების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

ბ) სპონსორებისაგან (სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები, გრანტი, კერძო პირები, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები) მიღებული თანხები, შემოწირულობანი, სხვა სახის ფინანსური დახმარება;

გ) საქველმოქმედო სახსრები;

დ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემოსავლები მთლიანად ხმარდება ბაგა-ბაღების გაერთიანების მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოყენებული იქნას სახელფასო დანამატების, პრემიების და ჯილდოების გაცემის მიზნით.

მუხლი 17. ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობის ზედამხედველობა

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების,

მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობის ზედამხედველობასა და კოორდინაციას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. ბაგა-ბაღების გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი

1. ბაგა-ბაღების გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.

2. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ბაგა-ბაღების გაერთიანების საქმიანობის და საფინანსო კონტროლს საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს აუდიტორის (დამოუკიდებელი ან შიდა აუდიტი) მეშვეობით.

მუხლი 19. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ბაგა-ბაღების გაერთიანებას მხოლოდ ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერის თანხმობით აქვს უფლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა;

ბ) გადაცემული ქონების გასხვისება;

გ) გადაცემული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა და სხვა) გადაცემა;

დ) სესხის აღება;

ე) თავდებობა;

ვ) საშტატო ნუსხისა და ბიუჯეტის განსაზღვრა;

ზ) არასაბიუჯეტო შემოსავლების განკარგვა;

თ) ისეთი გარიგებების დადება, რომელიც გულისხმობს ფინანსური ვალდებულებების აღებას;

ი) სხვა გადაწყვეტილებები ბაგა-ბაღების გაერთიანების ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

თავი VII. სხვა დებულებები

მუხლი 20. ბაგა-ბაღების გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ბაგა-ბაღების გაერთიანების რეორგანიზაცია ხორციელდება დამფუძნებლის - ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ბაგა-ბაღების გაერთიანების ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებლის - ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

1. წესდებაში ცვლილებებისა/დამატებების შეტანა დაიშვება დამფუძნებლის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

Keda Municipality

Digitally signed by Keda Municipality
Date: 2025.02.11 14:54:49 +04'00'